



ქ. ბ. ბერიძე

თითვე გასცა

„ახლა საბჭოთა კავშირის დიდ გამარჯვებაზე მტრებზეც კი ლაპარაკობენ“.

ახლა კი მხედველი ვინც იქნება ხელმძღვანელი, როცა არ სჯეროდა სოციალიზმის აზიანება წინა მდგომარეობაში



# ჩვენნი წმინთი ზეიმი



ზეიმობას მიჩვეული რუსთაველის პროსპექტი ამა 1935 წლის ზვიდ ნოემბერს განსაკუთრებით თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა: ათი ათასობით სადღესასწაულოდ მორთული ხალხი მზიარული ვაშას ძახილით, სიმღერით, მუსიკით და იქა-იქა ცეკვა-თამაშით მწყობრად მიდიოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელობის მოედნისაკენ, სადაც ლამაზად მოწყობილ ტრიბუნაზე ჩამწკრივებულიყვენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მეთაურნი.

ტფილისის ერთი უბანი შეორეს ეჯიბრებოდა იმაში, თუ რომელი უფრო მწყობრად ჩაივლიდა და ვინ მეტ მიღწევებს გამოაჩენდა ოქტომბრის რევოლუციის მეთვრამეტე წლის თავზე.

განსაკუთრებით ზეიმობდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც დაბადებულყვენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და რომელთაც უკვე შეუსრულდათ ჩვიდმეტი წლის სრული ასაკი.

მაგრამ არც მათზე სამი-ოთხი წლით აღრე დაბადებულთაგან შემდგარი წითელი ჯარი ჩამორჩებოდა საზეიმო ალღუმში, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით ათვალთვლიდნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელთაგან ზოგს სიამოვნებით უღიმოდათ სახე და ზოგსაც დაღვრებილობა ემჩნეოდათ.

იმ დროს, როდესაც ქუჩაში უაორესად საზეიმო განწყობილება სუფევდა, სწორედ იქ, სადაც წინედ თავს იყრიდნ ტრიფონ

ლალიძის ლიბონათის წყლის სასმელად და საცდელად მაშინდელ გოლოვინის პროსპექტის უსაქმურები — სადაც დღეს აგებულია კავშირ-გაბმულობის ახალი დიდი შენობა, — აველებური ჩვეულების მიხედვით შეკრებილიყვენ ნაცნობები: კოწია მენშევიკაძე, კარავეც დაშნაკიანცი, ალი მუსაევატ-ოლო, სოსიკო ანარხია და პოლიკარპე ყოფილაძე, რომლებსაც გაებათ ერთმანეთში ბაასი აქითურ-იქითურზე.

მათშორის გამათული ეს ბაასი ცოტა ხნის შემდეგ ცხარე კამათად გადაიქცა იმის გარშემო, თუ რატომ მოხდა ის, რომ ასეთ დიად ზეიმში, რომელშიაც თითქმის მთელი მოსახლეობა ღებულობს მონაწილეობას, ისინი და მათი მეგობრები არ ურევან და განზე დგანან გარიყული.

მენშევიკაძე ამაში ბრალს სდებდა დაშნაკიანცსა და მუსაევატ-ოლოს: ისინი კი, პირიქით, ყველაფერში ამტყუნებდნენ მინშევიკაძეს, ანარხია და ყოფილაძე დამწვარზე მღუღარეს ასხამდნ.

ცხარი კამათმა მწვავე ხასიათი პიილო ჩქარა მუშტი-კრივზე გადავიდა და შექმნა ერთი დაჰკა-დაჰკა!

ზეიმში მონაწილე ხალხს ერთხანს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ გარემოებისთვის. მაგრამ როდესაც მოჩხუბარნი გადავიდნ წრეს, რიგებიდან გაისმა აღშფოთების ხმა მათი ასითი ხულოგნური საქციელის გამო.

ამ დროს შემთხვევის ადგილთან გაიარეს ყოფილმა მღვდელმა ათანასე წვერცან-

ცარიძემ და გადაცმულმა ტერტერა რუბენ სუბსარქისიანმა, რომლებმაც გამოიცნეს რა მოჩხუბრებში თავიანთი შრეგლის ხალხი, ჩაერიენ გამზავებლად და წაიყვან-წამოიყვანეს ისინი იქით-აქეთ. მხოლოდ ალია დარჩა ადგილზე მართო და გაბრაზებული უღერდა მუშტს მიმავალ მოწინააღმდეგეთ.

აშნაირად გათავდა ამ ჯგუფის ჩხუბი და გაგრძელდა ხალხის ზეიმი, მაგრამ ამბავს მაინც არ მოღებია ბოლო!

სახლვარგარეთელ მენშევიკთა პრესბიურომ, — არსებობს კიდევ რაღაც ასეთი ყოფილი მთავრობის ალადას! — ერთი ამბავი ასტება სოფ. ლანჩხ. უკაცრავად! — ლაგალიებში დარჩენილ ვიწრო საზოგადოებაში, მისი ცნობით, ოქტომბრის მეთვრამეტი წლის თავის საზეიმო დღესასწაულის ჩატარების დროს რუსთაველის პროსპექტზე დიდი დემონსტრაცია მოახდინა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსაევატელების გაერთიანებულმა ორგანიზაციამ. ასეთმა ცნობამ დიდი ზეიმი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლანჩხ., ოხ, კიდევ უკაცრავად! — ლაგალიელ ქართველ მენშევიკთა ვიწრო წრეში. ამის გამო უსათუოდ საზეიმო ვახშამსაც გამართადენ. რომ ქონოდათ გურული ადესას მაჭარი, შამი-იურზე შემწვარი გოჭი და ყალიოთ მოხარული ვარიები ტყიმლის წვენიტ, მაგრამ ყოველივე ამაიბის უქონლობის გამო იძულებული არიან ნერწყვი ყლაპონ!

ს. თ—ია

## „ღრუბტუნია“ და „კასიანტეზი“

ნ.ხ. ლურიესი.



კრიზისამდე

კრიზისის შემდეგ



# შანიკენ-ძაყენი & ძეგა ჟე-ჰუა



შენსი პროვინციის სარდლობამ დიდი ჯილდო გამოაცხადა ჩინეთის საბჭოების ხელმძღვანელ კომინტერნის წევრ ამხ. მარცხენ-დუნსა და ჩინეთის წითელი არმიის ერთერთი ხელმძღვანელის ამხ. პენ დე-ჰუას შეპყრობაზე. პირველი შეფასებულა: ცოცხლად 100 ათასი დოლარი. მისი თავი—80 ათასი დოლ. ხოლო მეორე: ცოცხლად—60 ათასი დოლარი, მისი თავი—40 ათასი დოლ. დანარჩენი ხელმძღვანელები—20—50 ათას. დოლ.



ჩინეთის  
სარდლობა

უცხოეთის პრესის წარმომადგენელს ძალიან გაუკვირდა, როცა შენსი პროვინციის სარდლობის დახურულ კრებაზე დამსწრენი ფეხზე იდგენ და ისე უსმენდენ გენერალ ხიცი-ხიცის.

— სატომ ფეხზე ამდგარი უსმენენ მომხსენებელს? — ჰკითხა მან დარაჯს.  
— იმიტომ, რომ დაჯდომა არ შეუძლიათ!

— ახირებული ჩვეულება გქონიათ! — უთხრა მან დარაჯს.

— განა ჩვეულებაა!  
— მაშ რატომ?

— წითელმა ჯარმა ამათ ისეთი პანდური ამოჰკრა შეტევის დროს, რომ დიღანს არ შეეძლებათ დაჯდომა, რადგან უკანა ადგილი ძალზე დაზიანებული აქვთ. შეგიძლიათ შეხედოთ და დარწმუნდეთ ჩემი სიტყვების სინამდვილეში.

— ამგვარად, — ამბობდა მომხსენებელი ხიცი-ხიცი, — ჩვენ ხვალდანვე უნდა შევუდგეთ საქმეს და...

— კარგი, საქმეს ხვალვე შევუდგეთ, მაგრამ ახლა მე თუ იინშე არ შემომიღდა მხარში, წაუქციევი! — წაპოიძახა ერთმა გენერალმა, რომელიც ის იყო უნდა წაქცეულიყო, რომ გვერდით მდგომი მიეშველა.

— მართალია, ჩვენ ჯერჯერობით ვმარცხდებით, მაგრამ ამისი მიზეზი არის, რომ

ჩვენ ჩვენი ძალები გადაჭარბებით შევადგეთ და მოწინააღმდეგე, წითელი არმია კი ვერ დავადგეთ. — განაგრძობდა მომხსენებელი. აი, იმიტომ ეს ჩვენი შეცდომა ახლავი უნდა გამოვასწოროთ და უნდა მოვახდინოთ ძალთა, ხელახალი შეფასება.

— მოკლედ, თორემ აღარ შეგვიძლია პეტი დგომა! — გაისმა იქა-აქ.

— მოკლედ, მოკლედ! — აყვირდა მთელი დარბაზი.

— მოკლედ მოვახსენებთ, როგორც მოვახსენებთ, ჩვენ ვერ ვაფასებთ მტერს. ამიტომ ხელახალი გადაფასების შემდეგ ჩვენ უმძიმესაირად შევადგეთ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

აქ გენერალმა ხიცი-ხიციმ გაშალა გრძელი სია და წაიკითხა.

1. მარცხენ-დუნსი — ჩინეთის საბჭოების ხელმძღვანელი და კომინტერნის წევრი. 100.000 დოლარი

მისივე თავი. 80.000 " "

2. პენ დე-ჰუა — ჩინეთის წითელი არმიის ერთერთი ხელმძღვანელი, რომლის წყალობითაც არის, რომ თქვენ დაჯდომა არ შეგიძლიათ. 60.000 დოლარი.

მისივე თავი, რომელიც საშინელ სტიკატეულ და ტაქტიკურ გეგმებს იმუშავებს და გვაშარცხებს. 40.000 დოლარი.



## ჩანჩურ-პანჩური

რომი აბისინიის ფრონტიდან მიღებულ იტალიის სამხედრო შტაბის მიერ მოწოდებულ ცნობის მიხედვით აბისინიის ერთ ერთი ტომის „განთქმული“ ბელადი ჩანჩური იტალიის გენერალის პანჩურის მხარეზე გადავიდოდა. ზოგიერთ წრეებს ბელად ჩანჩურის არსებობა საეჭვოთ მიაჩნიათ.

## გულუხვობა

რომი. პაპმა პიუს მეთერთმეტემ შესწყვიტა სამოთხეში შესასვლელ ბარათების (იკლუგაციის) გაყიდვა, და გადაწყვიტა მთელი სამოთხის ტერიტორია უფასოდ დაუთმოს ომში დაღუპულ აბისინელ მოქალაქეებს. მეორე ინტერნაციონალის ბელადები ამ სულგაძელური გადაწყვეტილებით აღტაცებული არიან.

## იფიანთი უფიანთი.

ბარლინი მთელმა დღემ ისე გაიარა, რომ არც რეისსტაგის შენობაში და არც სასახლეში არც ერთი საჯარო სიტყვა არ წარმოთქმულა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების და წითელი საფრთხის შესახებ.

„სახელითა უფლისათა“

ნიუიორკი: ჩაეგოში, რაიხს-პრაისის ქუჩაზე მაცხოვრის ტაძარში მოეწყო ცეკვის კურსები (ტანგო, ფოქსტროტი, რუმბა და სხ.) იქვე იყიდება სხვადასხვა ფირმის ხატები და მსუქანი ოორი. დაიგბი.

## კონკურსი — მასპარადი

იქიდანვე, კრესინგში (ინგლისში) გაიმართა ქალის მკერდების კონკურსი. „კონკურსის ხელმძღვანელებმა ეიურის წევრად აიორჩიეს ორივე თვალთბრმა მოქალაქე“ („გლახე-დეილ რეკორდი“).

მიილო. მ-ზამ.

საბჭოებისა და წითელი არმიის სხვა ხელმძღვანელები შეფასებული გვყავს 20 ათასიდან 50 ათას დოლარამდე.

— კი მაგრამ ასე ძვირად რომ შეგიფასებიათ მათი თავი, მაშინ ჩვენი თავი რამდენი უნდა ღირდეს? — იკითხა ხიცი-ხიცის თანამემწემ გენერალმა ხოი-ციმ.

— ჩვენი თავი?

— ჩვენი თავი? — გაისმა დარბაზში და ყველამ თავზე მოისვა ხელი ხომ გვაქვს თავიო.

— ჩვენი თავი რამდენი ეღირება მაშინ, როცა მათ ასე ძვირად აფასებთ? — არ ცხრებოდა გენერალი ხოი-ცი. — ჩვენ ამით ვამტკიცებთ, რომ ისინი ჩვენზე ძვირი ღირაი, ჩვენ ამით მათ ავტორიტეტს ვსწიფთ ხალხში, რატომ ისინი არ აფასებენ ჩვენს თავებს ასე ძვირად? რატომ ისინიც არ გამოაცხადებენ ჯილდოს ჩვენს შესახებაც? იმიტომ, რომ ისინი ნოლად გვაფასებენ, გროშადაც კი არ გვაფასებენ. ამის შემდეგ, ჩვენი ასეთი აბურად ადღების შემდეგ, გამოდის ჩვენი ხელმძღვანელი პატივცემული გენერალი ხიცი-ხიცი და ჩვენს მტრებს ასე ძვირფასად აფასებს. მე მგონია ეს მიუღებელი ამბავია!

— დაამთავრა თავისი სიტყვა აღელვებულმა გენერალმა ხოი-ციმ და ინსტიტუტურად დაჯდა. დაჯდა მაგრამ მაშინვე ზეზე წამოხტა. თათბირმა დაადასტურა გენერალი ხიცი-ხიცის შიშოქტი.

მეორე დღეს დილით ქუჩებში გამოაკრეს განცხადებები, რომელშიც წითელი ჩინეთის გმირების სიკვდილ სიკოცხლე შეფასებული იყო ხსენებული კალკულაციის მიხედვით.

— აბა გაიბედათ და ნაკლებად შეეფასებინათ ჩვენი ბელადები! — ამბობდა მშრომელი მოსახლეობა და რევოლუციის ენტუზიაზმი მათში კიდევ უფრო ღვივდებოდა.

საზეიმოდ მორთულიყო ბრძოლის ველი. ჩინეთის წითელი არმიაც ზეიმობდა დიად ოქტომბრის დღესასწაულს.

მარცხენ-დუნსა და პენ დე-ჰუას წითელ არმიელებმა შენსი სარდლობის განცხადება მიუტანეს.

— საყვედულო არ გვეთქმის, არა გვყავს ცუდი მტრები, აი ხომ ხედავ როგორ დიდ ფასად შეუფასებიათ! — იხუმრა მარცხენ-დუნსმა.

— მართლაც ჩვენ ვართ უმადურები, რომ მათ ასე ძვირფასად არ ვაფასებთ, სამაგიეროდ მათი პატივისცემა ჩემზე იყოს. დაუმტკიცებ, რომ ისინი არ შემცდარან ჩვენს ასეთ შეფასებაში! — ლომილითვე უთხრა მარცხენ-დუნს პენ დე-ჰუამ.

ი. ხინველი.



# ასრულებული ნ ა ვ ე რ ა

თომას თავი ფატალისტულ მოაქვს. მისი აზრით, მთავარი ცხოვრებაში „ბედია“. ადა-პიანის როლი, მისი უნარი, მიზანდასახუ-ლება და თვით მოცდენათა ან შემთხვევათა სისტემა, მისი აზრით ყაყის ცხოვრებაში უკანასკნელ მნიშვნელოვანია.

\* \* \*

— სად მუშაობ, თომა? — შევეკითხე მას.  
ამ ორი თვის წინათ,  
— სარეწაო კოოპერაციაში.  
— დიდი ხანია?  
— ერთი თვეა დავიწყე.  
— უწინ სად მუშაობდი?  
— საბჭოთა დაწესებულებაში.  
— დაგიბოძვეს?  
— არა, ჭკუაში არ დამიჯდა.  
— ახლა კმაყოფილი ხარ ახალი სამუ-შაოთი?

— აოც ახლა ვარ კმაყოფილი. იმისთანა საქმეა, რომ ბევრი არაფერი გამოდის...  
— კაცო, ხუთი ხელობა გამოვიცვალე, მათე ადგილზე მუშაობა და ეგეც არ მოგ-წონს?!

— არ მომწონს... არ მარგია... ადგილებს ვიცვლი, მაგრამ ხერიანს მაინც ვერ მივა-გენი... ალბად ბედი არა მაქვს, ბედი რომ მჭინდეს, გამოარჩენიან ადგილსაც ვიპოვი... საქმე ბედი ყოფილა, ბედი! ხომ გაგიგონია: „ბედი მომეც და ცივ ქვაზე დამასახლეო“.

— შერე შენც ეგ გინდა აგისრულდეს?!  
— მინდა, მაგრამ სად არის...  
— ბედი უფრო გინდა, თუ ცივ ქვაზე დასახლება?!  
— ცხადია, მთავარი — ბედი: ოღონდ ბედი მომეც და ცივ ქვაზე დამასახლონ.  
— მაინც რა სამუშაოს მოცემას გულის-ხმობ „ბედის“ მოცემაში?  
— იმისთანა ადგილს, სადაც ვამორჩენა იქნება...

\* \* \*

— კოოპსავაჭროს საწყობის გამგეობას არაფერი არ ჯობია... — ეუბნებოდა რამდენიმე კვირის შემდეგ თომა თავის მეუღლეს.  
— აბა, აბა! რამდენი „უსუსკაა“, რამდენი „პროსუსკა — უმატებდა ცოლი.  
— წონაში გაქაფავ!  
— ვირთავების ანგარიშში გაქაფავ!  
— ლეინოს წყალს მისცებ, — გაქაფავ!  
წონით გასაყიდ გამშრალ პროდუქტებს დაას-ველებ, სიმძიმეს მოუმატებ, — გაქაფავ!  
— ერთი სიტყვით ყველაფერში გაქაფავ!  
— აი მაგისთანა საწყობის გამგეთ, რომ ვიყო, მაშინ ვიტყვი „ბედი მომცესო“.

\* \* \*

ორი თვის შემდეგ თომას აუსრულდა სა-წადელი: „ბედი“ მისცეს: საეაჭრო ორგანი-ზაციაში საწყობის გამგეთ დანიშნეს...  
ბედი მისცეს, მაგრამ... „ცივ ქვაზეც დაა-სახლეს“: გამსახლში უკრეს თავი, სოცია-ლისტურ ქონების ვატაცებისათვის.

მედუზა



ვ. კრიკორიანი

კრიკისი: — დედამიწის ამ ნაწილს კბილივერ დაფაკარე, ამოვკრი და დანარჩენს მაინც გემრიელად შევახრამუნებ!





„ტ.ს.ო.კ.“-ის შაქარივით ტკბილო და „აზრიბას“ ხიზილალასავით მიუწვდომელო ათინა (ნათლიაშენმა თამარა რომ დავარქვა).

აჰა, ვიღებ კალამსა, გწერ უკანასკნელ, გამოსათხოვარ წერილს, გამოსათხოვარს, როგორც არსენალის უბნელები გამოეთხოვნენ ერთადერთ წყალსადენს და ახლა, ვედრო წყალში ორ შაურს იხდიან.

არ იფიქრო თითქო ტრამვის გაჩერებასავით ცვალებადი ბუნება მქრნდეს და შემდეგ შემეძლოს ამ წერილის უარყოფა. არა და არა! ჩემი გადაწყვეტილება ისევე მართალია, ისევე სწორი, როგორც ის არის სწორი, რომ ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ზოგიერთი მუშაკები საათობით უცდიან ხოლმე გადაწყვეტილებას; უცდიან, თუ როდის გაპყიდნან ფენსაცემელს, როდის აშოვნნან ფულს და მოვლენ ახალი პარტიის წასადებად.

ნუ დამემღვრები, განა ჩემი ბრაოია, რომ ასეთ წერილს გწერ? იქნებ არ გახსოვს ის საღამო. ათ საათამდე რომ ვიცდიდი პაემანზე „გეორის“ ახლოს... დიას, ვიცდიდი და სათვართო სეზონივით ვაგვიანდებოდა. ვიცდიდი ექვსი საათიდან (შენ ხომ შეიღზე დამიბარე). ვიდექი ერთ ადგილას, მაგრამ არსად ჩანდა. შემდეგ შენც კარგად გენსომება რაც მოხდა: სრულ ათ საათზე ვიღაც ვაფთან ხელგაყრილმა გამოიარე და ხმის გაცემაც ველარ მოვასწარი, რომ საღამოც გაქრით სასურსათო ბართებივით.

„ტფილსოფმრეწვის“ ლუდივით თბილი საღამო იყო და სახლში წასვლაზე ფიქრიც არ გამიბუნდია. ზოგიერთი ვასტროლოგიით აყუყუე ავლაბრის თეატრით დაუსრულებელ პროსპექტს, გიპოვნეთ და... დაგდევლით უკან. ვაი იმ წუთებს! თქვენს ისე დანახვას, მერჩინა ფოსტის ხელში ჩავვარდნილიყავი, ამანათად ლანჩხუთში გაგზავნილს ვხა ამრეოდა და ფოსტის მუშაკებს მთელი საბჭოთა კავშირი შემოვუტარებინე.

დაგდევლით უკან და როდესაც ოპერის თეატრთან შემოტრიალდით, მოვიახლოვდი და საღამის მოცემა გავბედე. შენ კი ოროხიულად შემომხედე და თანმყოფს მიმართე: — ვინ არის?! თქვენ მოგვით საღამო?

ამ ორონიის შემდეგ ჩემთვის უკვე დაკარგული ხარ და მეც ამიერიდან „ტრანსკავშირის“ ტაქსად მიგულე: ბევრიც რომ შეძიო, ველარსად მიპოვნი...  
გ. ივ—ლი.

ნახ. დონის.  
რომის პაპმა განაცხადა: თუ ღმერთი საქმეში არ ჩაერია, ერთა-ლივის სანქციონირებული პოლიტიკიდან არაფერი გამოვაო.  
(გაზეთებიდან) გიგლიოთეა

—გონს მოდი შე ბებრუხუნავ: მსოფლიო ომის დროს საბოტაჟი გასწიე, საქმეში არ ჩაერიე და დედამიწის ერთი მეექვსედი დაკარგე. ახლაც არ ერევი?! დანარჩენი ხუთი მეექვსედიც გინდა იმ დაკარგულს ზედ მიაყოლო?!



# სიყვარულის წინააღმდეგ

გედონ ურაგნელის დეკლარაცია.



ნიანგი:—სმენა! მზადება ტფილისის სპეციალურ ნო ისათვის!  
ნიანგალები:—არის, ამხანაგო ნიანგი!

მიჯნურობის მღვრიე ღელეს მე ფუპოვე თუმცა ფონი, სეველიანად მაინც მღერის სიყვარულზე პატეფონი.

მე ქვეყანა მოვიარე, ამივიდა თავში რეტი დაებრუნდი და მგლოვიარე ჩემი ცოლი მაინც მეტრფის.

სადღაც ტირის როიალი: „ტრფობით გული დაილია“

და! მიჯნურნი მგლოვიარედ ჩემს ფანჯრებთან გაივლიან.

მე ავკრძალე ყოველგვარი მესჩანობა ტრფობის მზგავსი, მაინც ველარ მოვაგვარე მოვაცილო მუზას ხავსი.

სიყვარულის მღვრიე ღელე ვერ წამლექავს მებროლს მგონი, მაინც მიკვირს სიყვარულზე რატომ მღერის პატეფონი..

უშუპრა



# მანაქოეჯი კ პოეკოზნიკები

საქართველო  
საბჭოთაო



ვერობის ერთერთი სახელმწიფოს ერთ-ერთი ქალაქის ერთერთი გარეუბნის ერთ-ერთ ლუდხანაში თავი მოეყარათ ემიგრანტ გენერლებსა და პოლკოვნიკებს.

— აბა გამოვაცხადოთ მობილიზაცია და...! — დაიწყო ერთმა, მაგრამ მეორე პირში ეცა:

— გაგიჟებულა! რისი მობილიზაცია? — თავი კიდევ გენერალი ჰგონია და საყოველთაო მობილიზაციის ხელმძღვანელი.

— განა ჯარის მობილიზაცია! — დაამშვიდა მან სხვები. — გამოვაცხადოთ საბრძოლვის მობილიზაცია და ვიყიდოთ სხამდენიმე პოთლი ლუდი.

— პო, აგრე იტყვი თავიდანვე შეჯი კაცო! — დამშვიდდებ სხვენი და აფუტგენ „მობილიზაციას“. ყველა ჯიბეების გადაბრუნება-გადამბრუნების შემდეგ შეაგროვეს თანხა, რომელმაც თავიდანვე დადგა რამდენიმე პოთლი ლუდი.

— ბატონო გენერლებო და პოლკოვნიკებო! — დაიწყო თავმჯდომარემ, მაგრამ პირში ეცა ერთი მოხუცი პოლკოვნიკი:

— გეკითხებით, ბატონო გენერლებო, პოლკოვნიკებო გახდომის დღიდან რამდენია წლის შემდეგ მიიღეთ გენერლობა?

— აქ ეს რა შუაშია, მაგრამ გეტყვი, რომ მივიღე შვიდი წლის შემდეგ.

— ჩვენ კი ჩვიდმეტი წლის წინად ვიყავით პოლკოვნიკები. მაშასადამე პოლკოვნიკობის ძალიან დიდი სტაჟი გვაქვს. ამიტომ წინადადება შემოაქვს ჩვენ მოგვეცეს გენერლის წოდება.

— სწორია, სწორია. გენერლობა გვინდა! — ერთხმად გაისმა პოლკოვნიკების ძახილი.

გენერლებს არ ესაბოვნათ პოლკოვნიკების ასეთი მოთხოვნით, მაგრამ უკან მერ უთხრეს და მისცეს მათ გენერლობა.

— ჩვენი იმპერატორის სულს მოსახსენებლად! — აიღო გენერალმა ლუდით სავსე ჭიქა, რომელშიაც პურის ნატეხი დაასველა.

— პურის დასველება ასეთ დროს ღვინოში იციან და არა ლუდში! — თქვა ერთმა.

— ეს სულერთია, წამოვიდგით თითო-ოც ღვინო! — თქვა მეორემ და დასცალეს ჭიქები.

— ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანია

ახალი საქმის, ასე ვთქვათ ახალი პროფესიის გამონახვა.

— ეჰ, ყველფერი გამოვცადეთ, მაგრამ ვერსად ვერ გამოვდექით.

— ეს მართალია, მაგრამ მე ახალი საქმე გამოვინახე.

— რა არის ასეთი? — ყველანი დაინტერესდნენ.

— ფიზკულტურა.

— ფხხხ! — ყველამ სიცილი აუტყდათ.

— რაღა დროს ჩვენი ფიზკულტურაა როცა სულს ორ ალაგს ვითქვამთ.

— ფიზკულტურის ერთი სახე.

— ...ოომელი?

— სირბილი.

— ფხხ... ფხხ... ფხხ! — ატყდა შუუქაშა-ბელი ხაოხარი.

— ნუ იტყვი.

— ლიადუმევი... ლიადუმევი! — დასცი-ნიოდნენ გენერალს სხვები.

— გამოვინეთ, მომისინინეთ და ჰკუპში დაგიჯდებთ ჩემი აზრი.

— ვაცალოთ და ვიცინოთ. ფული მაინც არა გვაქვს, რომ თეატრებში ვუყუროთ კომედიებს.

— თქვენ აღბათ კითხულობთ გაზეთებს და იცით, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა დღეს ფიზკულტურას ყველგან. ამიტომ ჩვენ ამ საქმეს უნდა მივკიდოთ ხელი. თქვენ წელს დაცინვით წამოაძახეთ ლიადუმევის შესახებ. დიას, იგი ფრანგია და მსოფლიო ჩემპიონია სირბილში. რატომ არ შეგვიძლია ჩვენ მათ წავართვათ მრავალი ჩემპიონის სახელი? შეგვიძლია.

— როგორ? — წამოიძახა ვილაკამ.

— ძალიან ადვილად. მე გგონია, რომ სირბილში, ე.წ. მარათონულ სირბილში ჩვენ ვერავინ გვაჯობებს.

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ შემორბენილი გვაქვს მთელი ჩვენი ყოფილი ევბერთელა სამშობლო და...! — მაგრამ აქ მას ცრემლებმა ლაპარაკის უნაღი წართვეს სამშობლოს მოგონებაზე. სხვებიც ატირდნენ.

— პო-და, — განაგრძო გენერალმა ცოტა ხნის შემდეგ. — ჩვენ უკან დახვევის დროს, როცა წითლები მოგვსდევდნენ, ისე გავრბოდით, რომ ვერავინ გვაწეოდა. თქვენც გემახსოვრებათ, რომ ძალიან ხშირად ბუდიონის კვალურიასაც კი უკან ვიტოვებდით.

— ეს მაჩბალია. ვერავინ ვერ გეჯობნიდა სირბილში! — ამყად ვადულაპარაკეს ერთმანეთს დამსწრეებმა და უღვაშების გრებვა დაიწყეს.

— ცურვაშიც ძლიერები ვართ. ვადა-გვიცურავს ყველა ზღვები და ოკეანება, რომლებიც საზღვრავდნენ ჩვენს ყოფილ სამშობლოს.

— არ ავტირდეთ კიდევ სამშობლოს მოგონებაზე. გავმაგრდეთ, ხსნა ნახულა! — დაიძახა ერთმა და ცრემლის მოსაწმენდად ჯიბიდან ამოღებული ცხვირსახოცები ისევ ჯიბეში ჩაიდევს.

— აბა, გაანთავისუფლეთ მაგიდა! — უთხრა მათ ლუდხანის მოსამსახურემ.

— რატომ? ჯერ ხომ ადრეა დაკეტვამდე?

— თქვენ ზიხართ და არაფერს თხოულობთ. მუშები კი თავისუფალ ადგილს ვერ ნახულობენ.

— გამოვაცხადოთ კიდევ მობილიზაცია! — თქვა ერთმა.

— გამოვაცხადოთ!

— გამოვაცხადოთ! — დაეთანხმნენ.

ყველას სხვის იმედი ჰქონდა, არც ერთმა თანხს არ აღმოაჩნდა არაფერი და იძულებული იყვნენ ლუდხანიდან წასულიყვნენ.

— ხვალ მოვილაპარაკოთ მაგ საკითხზე უფრო სერიოზულად. თანაც ფული მეტი ვიშოვნოთ ლუდის საყიდლად.


— სად ვიშოვნით.

— კარ ვიშოვნით. ცოლებს მოვპაროთ. ისინი ოხრები არიან, ყოველთვის აქეთ შენახული მცირედი თანხა! — თქვა ყოფილმა პოლკოვნიკმა, უკვე „გენერალმა“.


პოლკოვნიკებმა ცოლებს ახარეს, რომ მათ „გენერლობა“ მიიღეს.

ცოლებმა მათ ამ შემთხვევის გამო სააკეს, რომ ზეიმით აღენიშნად გენერლობის მიღება.

ისილი.







(ფეხიკლეზული თარგმანი)

ახალგაზრდა ლიზა, გარეგნული შეზღუდვებით მიშვიდველი, ოცნებობდა ტკბილ ცხოვრებაზე, რისთვისაც საჭირო იყო მისთვის სიმდიდრე, ლიზა არ ფიქრობდა ზღაპრულ სიმდიდრეზე, უკეთ რომ ვთქვათ, ის სწორედ ასეთ სიმდიდრეზე ფიქრობდა, მაგრამ მას ესმოდა, რომ ჩვენ სინამდვილეში ზღაპრულ სიმდიდრეზე ოცნება ფუჭი იქნებოდა და ამიტომაც მან გადასწყვიტა შეძლების ფარგლებში გამდიდრებულიყო. მისთვის აუცილებელი იყო მტრედის ფერი ავტო მუდმივი შოფერთი, კურორტზე სტანდარტული სახლი, „ტორგსინი“, და შეძლებული ქმარი, რომ ყველგან ყოფნისა და ყველაფრის ნახვის საშუალება ჰქონებოდა.

მისი ქმარი კი ჩვეულებრივი ინჟინერი იყო, რომელიც ცხოვრობდა შვიდას მანეთზე, ის იყო ენტუზიასტი და თავის ცხოვრების კმაყოფილი.

ლიზას კი, ასეთი უფერული ცხოვრება არ აკმაყოფილებდა, ის ოცნებობდა ისეთ ცხოვრებაზე, როცა მას შესაძლებლობა ექნებოდა თავისი უსაზღვრო სურვილების დაკმაყოფილებისა. ერთხელ მას, უთხრეს თითქმის დღეს მხოლოდ მწერლები ცხოვრობენ კარგად, რომ მათ საწერი მანქანები აქვთ, ცალკე ბინები, ავტოები და სხვა.

ლიზამ გადასწყვიტა ასეთ მწერლებთან ცხოვრება. მაგრამ მან არ იცოდა, როგორ მოენახა შიძლებული მწერალი. ამიტომ დრო რომ არ დაკარგოდა, პირველი ვაცნობისთანვე შეუკავშირდა ვილაც ავტორს, რომელიც თითქმის განგებ აღმოჩნდა არაფრის მქონე, ცოტა მოსულელი და ალკოვოლისტი. ერთი თვის შემდეგ მან მოთხოვა ლიზას სადმე სამუშაო ემოვნა და მას ფულებით დახმარებოდა, ასე რომ მან ვერ გაამართლა ლიზას იმედები და უკანასკნელიც დაუბრუნდა თავის ძველ ქმარს.

ამ დროს ის ეცნობა ერთ ევროპელს, რომლის შესახებ მას უთხრეს თითქმის ის ინტურისტი იყო, ცხოვრობდა სასტუმროში, უთხრეს ისიც რომ მას, უნდოდა კერძო ბინაზე გადასვლა რაღაც ორი თვით. ლიზას უჩიეს მიეცა მისთვის მის ბინაზე ცხოვრების საშუალება. მართალია მას ასეთი შესაძლებლობა არ გააჩნდა, მაგრამ მაინც გაუხარდა და გადაწყვიტა თავისი დედა საღალაქ ვაგზავენა და უცხოელი თავის ბინაზე მოეწყო.

ასეც მოხდა. უცხოელი ჩასახლდა მის ბინაზე პატარა ოთახში.

ლიზა ფიქრობდა, რომ დადგა მისი გაბედნიერების დრო. მართლაც უცხოელს ლიზა შეუყვარდა. ლიზამ სიხარულით მიიღო მისი წინადადება და დაიწყო მასთან ცხოვრება, თუმცა უცხოელს არ შეეძლო რუსულ ენაზე ლაპარაკი, ლიზამ კი მხოლოდ რუსული ენა იცოდა, მაგრამ ეს გარემოება არ უშლიდა მათ საერთაშორისო ბედნიერებას. ლიზა ოცნებობდა პარიზზე, ლონდონზე, ამერიკაში მოგზაურობაზე და სხვა ქვეყნების ნახვაზე. ერთი დღის შემდეგ უცხოელმა იმდენად შეისწავლა რუსული ენა, რომ მას შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი.

მან ერთხელ ლაპარაკი დაუწყო ლიზას, რომ ის არც კი ფიქრობდა უცხოეთში გამგზავრებაზე, რომ მას უცხოეთში არაფერი გააჩნდა, და ამიტომ ის განიცდიდა მატერიული სიციფროვეს და ეძებდა საბჭოთა კავშირში რაღაც საბუშაოს.

ლიზამ ვერ გაუძლო ასეთ აშმაგს და ცრემლებით თვალები ავესო. ჯაკობისაგან სამი დღე ტირიდა და შემდეგ მან უცხოელი ოთახიდან გაავლო. ამ დროს მან ამოიჭიბა გახეთქებში თავისი პირველი ქმრის შესახებ, რომელსაც დიდი ეკონომია მიეცა სახელმწიფოსათვის, ამისათვის მას მიეღო

ათი ათასი მანეთი პრემია.

ქმარმა არ იცოდა თუ ლიზა უკან დაუბრუნდებოდა მას, ამიტომ როგორც ენტუზიასტმა ეს თანხა მშენებლობას გადასცა.

ლიზა ისევ ქმარს დაუბრუნდა და შეიტყო თუ არა მისგან პრემიად მიღებული ფულები მშენებლობისათვის გადაცემის შესახებ, კინაღამ ჰკუთხე შეიშალა.

სწორედ იმ დღეებში მას უთხრეს რომ ის მწერალი, რომელთანაც ის ცხოვრობდა, გამხდარიყო დრამატურგი და ბევრი ფულების პატრონი.

ლიზამ ხელმეორედ მოინდომა მასთან ცხოვრება, მაგრამ აღმოჩნდა რომ დრამატურგს ერთი ოჯახის მაგიერ ორი ოჯახი ჰყავდა.

ამის შემდეგ ის გაეცნო ესტრადის კომიკს, რომლის შესახებაც მას უთხრეს, თითქმის ის ბევრ ფულებს აკეთებდა.

მას უნდოდა ამ კომიკთან შეკავშირება, მაგრამ შეშინდა, რომ მაშინაც არ მოტყუებულიყო და გადაწყვიტა თვითონ გამხდარიყო არტისტი ქალი. მან შეისწავლა ცეკვა, მაგრამ ეჭიმებმა ნახეს, რომ ნერვიულ ნიდაგზე მას ჰქონდა გულის ავადმყოფობა. ამიტომ ცეკვა აუკრძალეს.

მაშინ მან შეისწავლა სიმღერები. დღეს ის მომღერალი ქალია, გამოდის დასასვენებელ სახლებში, დახურულ კონცერტებზე და საკმაო ფულს აკეთებს. ის კმაყოფილიცაა თავისი ცხოვრებით. მაგრამ ამ დღეებში კვლავ ამოვარდა ცხოვრების კალამოტიდან, როცა შეიტყო, რომ უცხოელს დიდი ადგილი მიეღო, ახალგაზრდა ქალი ეთხოვა და დროებით ცოლით მიემგზავრებოდა უცხოეთში. საწყალი ლიზა ამ ამბის გამო ავად გახდა და დღესაც ლოგინიდან ვერ ღვება.

მთარგმნელი ს. პ-ი.





მეზობლისგან ვხაზავ ნისიათ პაპიროსს. წელში მოხრილი მოხუცი გიგო არადროს მაწყენინებს: ყოველთვის მაძღვეს პაპიროსს, თუნდაც ერთი თვით დავაგვიანო ნისიის გადახდა.

გუშინწინ ხელფასის მიღების დღე იყო და სახლში მისვლისთანავე ვესტუმრე გიგოს. ნისია უნდა გადამეხადნა. ოთახში შემემატი- ჟო კარები მოხურა.

— ჰე, ჰე-ჰე-ჰე... გიორგი... გიორგი...? მაშ რა გეგონათ?! ჰე-ჰე-ჰე... ფიქრობდით თქვენი შომრევი აღაჩავენ იყო? ჰე-ჰე-ჰე... არ შეგიტყვიათ ახალი ამბავი? იქნებ ჯერ კიდევ შშვიდათ გრძნობთ თავს. გაასწართ მეზობელი თორემ შვად არის საქმე! — დაბალი ხმით შემესიტყვა სახედამანქული თმა- თეთრა მეუღლე გიგოსი, აგრაფინა.

- რა მოხდა ბებიავე, რამ გაგახარა ასე?
- ჯერ ეს მითხაოი, გეწყინება?
- რა, რა უნდა მეწყინოს?
- გეწყინება თუ არა მითქი, ახალი ამბავია!
- რა მოხდა?!
- რა მოხდა და გადატრიკლება მოხდა ყმაწვილო. აბა რა გეგონა, დიდხანს იბოვი- ნებდით. თუ? შვილის წერილია, შვილის!
- რას კორიკანობ ბებერო, ავად ხომ არა ხარ?

— ავადაც ხარ და დამარხავთ კიდევაც ან დღეებში! უტყუარი დოკუმენტია, ხედავ ამას? — შემეყვირა აგრაფინამ, შუბლზე დაცრეცილი მოზრდილი ხელნაწერი ქაღალ- დი მომარტყა და წელში ისე გასწორდა, გე- გონებოდით ატამან მახნოს წინაშე უბრალო ჯარისკაცი ვმდგაოიყო.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. შე- მეცოდა მოხუცი დედაკაცი და აკანკალებუ- ლმა, ტახტზე, არა ჩვეულების მიხედვით წა- მოწოლილ მეპაპიროსე გიგოს, პირში რომ ჩიბუხი ჰქონდა, გარკობილი, თვალით ვა- ნიშნე: „რას უყურებ, ხომ ჰხედავ ქუთაზე შემოილია საწყალი დედაკაცი; მოუარე, შე- ნია, სხვისი ცოლი ხომ არ აჩის?“.

— თვალებს ნუ ქუტავ ყმაწვილო. დაგე- ცინი კიდევ ამ მოხუც ხალხს? გაფრთხილდი ბიძია, ძველი დრო კი აღარ არის. — გამა- ფრთხილა გიგომ და მეუღლეს მიმართა: —

კაფერესტორანების ტრესტი დანაგვიანებულა ყოფილ ჩარჩ - სპეკულიანტებით. უწინ, როცა ჩისტორანის მუპატრონე იყო.



— მე შენ ვიჩვენებ, როგორ უშდა მოიბარო!!!

განაგრძე კითხვა, არაფერია, მალე ისწავლიან ტკუასა.

აგრაფინა კითხვას შეუდგა: „წითლები ძალიან ფაფხურობდნენ, ეგო- ნათ დავამარცხებდნენ, მაგრამ ნატარში ჩიუვარდათ მურბაიანი კოვში. იერიში მივი- ტანეთ, ბარიკადები გადავლახეთ და სულ კუდით ქვა ვასროლინეთ, დიდი არს ძალა დღეთს ძისა ნიკოლოზ რომანოვისა. რას გახ- დებთან ქაჯები ყოველად წმინდა ღმერთის წინაშე“.

— დიდი არს ღმერთო შენი სახელი, ისევ დაუდგამს ნიკოლოზ ხელმწიფეს გვირ- გენი. — წამოიძახა აღტაცებულმა აგრაფი- ნამ.

— პროვოკაცია! — შეფუტე. — პროვოკაცია იქნება კისერს, რომ შო- გივრებენ, — მომიგო და განაგრძო: „ოთხი ბოლშევიკი დავაპატიმრე. ფრჩხი- ლებიდან ვადენ სისხლსა. დანარჩენები ზოვი დავხვრიტე, ზოგნი ბრძოლის დროს დაიხოც- ნენ და სხვებიც მალე ჩაცვივიან ჩემს ხელ- ში“.

— მაშ რა ეგონათ! — ნერვიულად წა- მოიძახა გიგომ.

— შეთხზული კორია, თავს ნუ იტყუი- ლებით!

— ნუ ლელავ ჯეელო, მალე დარწმუნ- დები როგორი კორიც არის.

აგრაფინა განაგრძობდა: „ახლა ერთი სასიხარულო ამბავის შესა- ხებ მინდა შეგატყობინო. ამ ერთი კვირის წინათ მისმა უდიდესებულებამ ოჭოოს მენ- დალით დამაჯილდოვა ერთგულობისათვის. სულ მალე ხარისხსაც მომიმატებენ და შგო- ნი ამისთანა მენდალს კიდევ რამდენიმეს მი- ვიკრავ“.

— დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გა- მონახეო, აი გენაცვალე სულში, რომ მამას დამეგვანე სიყოჩალითა! — არ ისვენებდა გიგო.

— მიპქარავს თქვენი შვილი. განა ინი- ტომ გაგზავნა ხელისუფლებამ ლენინგრადს სასწავლებლად, რომ კორები ავრცელოს? — არ ვისვენებდი.

— ჰე-ჰე-ჰე, ჩამოვა და გაჩვენებთ, სო- გორც უნდა მიქარევა, — ბურტყუნებდა მე- პაპიროსე. — განაგრძე ქალო; რა ღმერთი გიწყრება.

აგრაფინამ განაგრძო: „აქ ჯერ კიდევ არ ჩამქრალა აჩუქულობა. მაგრამ იმედია, რომ ძირფესვიანათ მოვს- პობთ წითლების გასაგისს და მოვიცილი თუ არა, მანდეთ წამოვალ.“

— გესმის ყმაწვილო? ხედავ რას იწერე- ბა? მანდეთ წამოვალ მალეო, გაიგე? თუ გინდ ნუ დაიჯერებ კიდევ. აბა როგორ გე-

**გამოვირცხა**  
**და იყიდა**  
**სივ. თოფრიას**  
**სახლი** —  
**იუმიორი** — შპსი 73  
**ძველი და ახალი**  
**პლუქმანი** — შპსი 38



ახლა, როცა რესტორანში მსახურობს

ნახ. გ. ისაევს. (მიბაძვა)



— მე შენ გიჩვენებ როგორ უნდა მოიპარო!

მე მიხდება მივლინება სხვადასხვა რაიონებში, მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი გასართობი ხარჯი მივლინებულთათვის გასართობი რულია ხელისუფლების მიერ, ზოგიერთ სასტუმროში განუსაზღვრელ სპეკულიაციას აქვს ადგილი. გარდა ამისა ანგარიშ-წარმოება სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სასტუმროებში სხვადასხვა წესით სწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროს ხარჯებისაგან საკმაოდ დაზარალებული ვარ, მინდა მიინც სიკეთე ვუყო სასტუმროების თანამშრომლებს და მივლინებულებს და გამოვიყვეყნო სასტუმროს ანგარიშ-წარმოების სტანდარტული წიმიში.

ნომრის	7 მან. 50 კაპ.
სინა	80 კაპ.
თლე	90 კაპ.
პაპიროსი	5 მან.
ერთი კოლოფი	5 მან.
ვატენეთ საწყლე	1 მან.
რომელიც ღირდა	7 მან. 50 კაპ.
ილაგება	2 მან.
დნობება	2 მან.
პირსა	1 მან.
ხოცი	1 მან.
დაკავებული გქონდათ	17 მან.
სულ დღე და ღამე	1 მან.

ჯამი 71 მან. 60 კაპ.

სიმი.

გონა, სულმოდამ პაპიროსის გაყიდვებზე დაფიქრებდი თუ? — ირონიულად ჩაიბურტყუნა გიგომ და რამდენიმე კოლოფი პაპიროსი მოაბნია იატაკზე.

— ღმერთს სამართალი არა აქვს თუ! — ამართლებდა „ისტორიულ მოვლენას“ აგრაფინა.

— ვანაგრძე ქალო, ვანაგრძე.

„მანდ გულდამშვიდებით იყავით, ჩემზე ნურადფერს ივავარებთ. ეს არეულობა სულ მალე გათ“...

აგრაფინა შეჩერდა.

— გათ... გათ... გათ...

— რა დაგემართა ქალო, გათავდება?

— მოხეული აქვს. ეტყობა აქ მოხივს, ალბად გაბრაზდენ და... კონვერტი განსნილი იყო.

— აქ გაუგებრობაა, მაჩვენეთ წერილი, — მიემართე ალტაცებულ მოხეტეხულებს.

— გაუგებრობა თქვენ თვითონა ხართ. — მომიგო აგრაფინამ და ნახვევი ხელნაწერი გადმოძკა.

შოგ ყველაფერი ისევე იწერა, როგორც დედაბერი კითხულობდა.

— როდის მიიღეთ ეს წერილი?

— ახლა, ამ ხუთ წუთის წინ. ა, ბატონო ამ კონვერტში იღო.

აგრაფინამ დაცრეცილი კონვერტი გადმოძკა.

ზედ შემდეგი ეწერა რუსულად:

ქ. ტფილისი, სუბ-კარაბეტის ქუჩა № 1. აგრაფინა ჩერდაკოვანა — ნაჭყებოვას.

პეტროვგრადიდან.

კონვერტზე დარტყმულ შავ ბეჭედს დევაკვირდი, ამოვიკითხე: პეტროვგრადი 1-1-17.

სიცილი ველარ შევიკავე.

— ეს ხომ 18 წლის წინათ გამოგზავნილი წერილია! — წამოვიძახე.

— რას ამბობ კაცო, ამ წუთში მივდი! — წამოვარდა გიგო, სათვალეები მოძებნა და წერილი ხელიდან წამგლიჯა.

— ფუი დასწყევლოს ეშმაკმა, ეს ხომ ჩემი ნაწერია. ეს წერილი ხომ მე გამოგვზავნე ამ 18 წლის წინათ. — მწარედ ჩაილულულა „გამარჯვებულმა“ გიგომ და იატაკზე დაბნეულ პაპიროსებს აკრეფა დაუწყყო.

გ. ივანიშვილი.

მინაწერი: „სარატოვიდან 20 წლის წინად გაგზავნილი წერილი, მოსკოვში ამ რამდენიმე ხნის წინ მიიღეს“.

გაზეთებიდან.

## თითგა უნდა იკისროს

— უმაიკოთ ზაფხულო გავატარე, ვითმინე. საზაფხულო მაიკა უღეს ამშვენებს ვიტრინებს.



შემოდგომის სურდო მჭირს. (ეს კი „ტსოკ“-მა იკითხოს) ნუთუ ცხვირსახოცობა თითგა უნდა იკისროს?

(„პარ“)





ცანგალას ერთი ახირებული ჩვეულება იქნეს: გაზრებებში და მხატვრულ ქუჩულეებში თავის მოთხრობების გარდა არაფერს ვერაულობს.

**დიღუბა** — ტფილისის ერთ-ერთი საწარმოო უბანი, რომელიც წარსულში ცნობილი იყო, მით, რომ ამ ადგილას თამარ მეფემ მფორედ იქორწინა (დაიით სოსლანთან შვეულლების დროს). ამ ქორწილის დროს თორმე საწყალ პირუტყვებს „ბათლომეს ლამე“ გაუთენდათ: მექორწინებ, როგორც გადმოგვცემენ —

„ახი სული ცხვარი დაკლა და ორახი ნიშა ხარი“.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთი გამოცემა, ამ მამაბაპურ ჩვეულებას, დღესაც არ იფიქრებენ...

**დისკრატცია**... „მეცნიერულა თხზულება ანუ — გამორკვევა სამეცნიერო ხანისხის მისაღებად, ზოგიერთ შემთხვევაში ზნისგან ნატაკი ან ნაქაფი ციტატებიდან არის შედგენილი.“

**მოსხმენება** — უბილობის წამალი.

**დიღუბანი** ბერძენი ფილოსოფოსი, განხატურებით ცნობილია მით, რომ მან პირველად და ყველაზე უფრო რაციონალურად

გადაჭრა საბინაო საკითხი: შეიძინა დანჯორეული კასრი („ბოჩკა“) და მასში დაბინავდა.

ამ ხერხით დიღუბანმა თავიდან აიცილა მთელი ის დავიდარაბა, რაც დაკავშირებულია ჩვენს პირობებში ახალი ბინის მშენებლობასთან, უბინაო მოქალაქეთათვის (საბინო ფართობის ძებნა, კრედიტის ცდა ათეულ წლებით „დაკა-დაკა“ ჩასახლების პერიოდში ბინის „გაყოფაზე“ და სხვ.).

დაინტერესებულ მოქალაქეებს ახლაც შეუძლიათ დიღუბანს მიბადონ.

**დინება** — ამ სიტყვის ფუძისაგან შრავალი სხვადასხვა შინაარსის შემცველი სიტყვა წარმოსდგება:

**თვითდინება**: ყავარჯენი რომელზედაც ზოგიერთი ბედოვლათი სამეურნეო მუშაკი არის დაყრდნობილი.

შემჩნეულია აგრეთვე ნერწყვის დინება, გერმანელ ფაშისტების ბაგეზე, იმის გამო, რომ მათ იტალიის ფაშისტებმა მოასწრეს ომის დაწყება აფრიკის ახალშენების ხელში ჩასაგდებად.

დიდი ხანია მას შემდეგ რაც ქალბატონი ცანგალას აღარაფერი დაუწერია. შეიძლება დასწერა, მაგრამ არ დაუსტამბავს. საამისოდ მრავალგვარი მიზეზები არსებობს. ამიტომ საზოგადოებას დაავიწყდა მისი „შარავანდელით“ მოსილი მალაღნიჭიერება. მას უყვარს წარსული ამბების მოგონება. განსაკუთრებით უყვარს ძველ დიდ მწერლებთან „შეხვედრების“ გახსენება.

— ილია ცოტათი მახსოვს. ოვი კაბინეტში მინახავს... უჰ, ნამდვილი ბრძენი იყო. აკაკისთან კი ბევრჯერ მისაუბრია, მაქებდა იგი: „შენ დიდი მწერალი ვახდები, ამის თავდებია შენი რუსთველური ქართული ენაო“ აკაკისთან შინაც დავიარებოდი.

მოუთხრობს ხშირად ცანგალა მასთან მოსაუბრე ახალგაზრდობას.

ქალბატონი ცანგალა ამ ზაფხულს სადღაც ისვენებდა. მინ დაბრუნებისთანავე გაეშურა რედაქციისაკენ.

— დავაგროვე თემები... თუ ჰონორარს წინასწარ მომცემთ, აი, ასეთ მოთხრობებს მოგიტანთო,— და გამართულ ცერს სწევდა ზევით.

— ო, მეგას რა სჯობია. ქალბატონი ცანგალა,— მიმართა უურნალის რედაქტორმა. ამ ლაპარაკში ცანგალამ ახლად გამოსული უურნალი გადაფურცლა, მაგრამ არსად არ აღმოჩნდა ამ „ძველი“ მწერლის ნაწარმოები. ფიქრობდა კი, რომ უნდა ყოფილიყო რადგან რანდენიმე მოთხრობა ჰქონდა დატოვებული.

— იჰ, ესენი რად მინდა. ამაში ჩიზა არაფერი დავისტამბიათ.

რედაქტორმა გაიღიმა. ცანგალამ რედაქტორს დაწუნებული მოთხრობები გამოართვა და ერთერთი დიდი გაზეთის რედაქციისაკენ გაემართა.

— აჰ მოთხრობა მოგიტანე, ნეტავ რა ბედი ეწია? თუ ვერ დაბეჭდავთ, დამიბრუნეთ. მიაკითხა ერთი თვის შემდეგ ცანგალამ რედაქტორს.

დაუბეჭდავ მასალას უკან არ ვაბრუნებთ, მაგრამ მითხარით მაინც თქვენი თხზულების სათაური.

— „მართა“, უპასუხა ცანგალამ.

— ოო,— გაკვირვებით წამოიძახა რედაქციის მუშაკმა, ეგ მოთხრობა ხომ ორი კვირის წინად დაიბეჭდა. ნუ თუ არ გინახავთ?


— არა, უპასუხა დაბნევით.

— როგორ? ეს ყველაზე დიდი გაზეთია და ამათაც არ კითხულობთ?

ცანგალას სახეზე წითელი ფერა გადაეკრა.

# ამერიკელი ბანდიტი

ნახ. ლურჯიხი.



ლოსიკ

„უმუშევრად“ დარჩა უმუშევართა შორის.

ლავრა. მიხინაძე



# კვილგასაკრავი ამგები

რას მერჩით ავიამიფელეზო?

გიგზაფნი თავდაცვა - ავიამიფის განცხადებას, რომელიც ნებადართულია მთავლიტის რწმუნებულის მიქტ.

ვაკვირდები ამ განცხადებას და გული ჩიტივით მიკანკალეზს.

— რატომ? იკითხავთ თქვენ.

— საპატიო მიზეზით: მეც მაქვს შეძენილი თავდაცვა ავიამიფის მე-9 ლოტარეის

თავდაცვაავიამიფის მე-9 ლოტარეის მთავარი მოგებანი.

## მოგებანი ნატურით

ერთი ლოტარეის ღირებულება მანეთი 10.000

1. უცხოეთის მოგზაურობა
2. თვემდე, სანიშნო მარშუტით (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და სხვა).
2. ბინის მორთულობა რ...

ბილეთი და სულ იმაზე ვფიქრობ, ერთი ცენახით და პირველი მოგება შემხვდეს, რომელსაც სახელად ჰქვია: „უცხოეთის მოგზაურობა 2 თვემდე“. ლოტარეის ჩემი შეძენილი ფულით მე ჩემს ჩაკეტილ თთახში უნდა დავრჩე და უცხოეთი კი ორ თვეს ასეირნონ. ცოდო არა ვარ? განა ეს სამართალია? რას მერჩით — ავიამიფილობო!

**გულაქანკალეზული.**

## აკითხვებიკული პროგრამისა.

ამ ზაფხულს სამტრესტმა რუსთაველის პროსპექტზე მალაზია გახსნა.

თავდაპირველად პროდუქტები ბლომად იყო, ხოლო მოლარე ერთი ჰყავდათ. გავიდა ხანი. პროდუქტები განახევრდა, მოლარეთა რიცხვმა იმატა. კიდევ გავიდა დრო. მალაზიაში სამი მოლარე გაჩნდა. შესაბამისად შემცირდა პროდუქტთა მარაგი. ახლა მალაზიაში დაცალიერებული ყაფაზებია, მოლარე კი ოთხია.

რეს როგორ არის, ვერ მივხვდი, როგორი ვანაჩენია?...

მოსე

## იფილო, ბიფილო...

ზემო-სეზანეთის ხე-ტყის საექსპლოატაციო რაიონის სასადილოს გამგემ ექვთიმე ლავვილაძემ ცოტათი წაიტულუტა სურჩათ-სანოვანის „ხაზით“. ცულლუტობა გაუგეს, თანამდებობიდან მოხსნეს და იმავე სასადილოს მორმარაგებლად დანიშნეს.

ექვთიმე ლავვილაძემ, უკვე ვითარცა მორმარაგებელმა პაწა წაიეშმაკა. ეშმაკობა გაუგეს, მოხსნეს და იმავე სასადილოს გამგედ დანიშნეს.

ლავვილაძე ცელქობას არ იზლის. ამბობენ, კელაე მოხსნას. უპირებენ და სასადილოს მორმარაგებლად ნიშნავენო.

— ურა.

# მოვაწიე საოკავუი კაცი ვიყავ გავხდი გავუვი

ბაკურიანიდან კოლოფების მატარებელი მომაქანებს ქვემოდ და სიხალისეს მმატებს.

თაღს მსუბუქად ვგრძნობ და მიხარია, თუმცა ზოგიერთები მიმტკიცებენ, რომ სისუბუქე ცუდი ნიშანია.

„საკოჭავი“. შიადგა მატარებელი სადგურს.

— რატომ ჰქვია ნეტავ ამ სადგურს საკოჭავი? — ვეკითხები თავის თაღს, — უთუოდ აქ იციან გაკოჭვა.

— თქვენი ბილეთი? — მაწყვეტინებს ფიქრებს კონდუქტორი.

მიგაწოდე. გამოშართვა. ვერ ისე შეხედა, შემდეგ სათვალეები გაიკეთა და ისე დაუკვირდა. კარგა ხანს უცქირა და შემდეგ მე შემომხედა.

— ახლა თქვენი ბილეთი? — მიბრძანა მან.

— აბა ეს ვისია? — გავიკვირე მე.

— ეს ბავშვისაა. — მითხრა მან.

— როგორ თუ ბავშვის? მე ჩემთვის ავიღე...

— ბიჭოს. აი შარი თუ გნებავთ. ბაკურიანში ბილეთი ავიღე. ფულები სრულწლოვან კაცის გადავიხადე და ეს როგორაა? — ვიფიქრე მე.

— ჩქარა ბილეთი. მეთქი! — იძახის კონდუქტორი.

— მეტი ბილეთი მე არ მაქვს — მიუგე მე და უხერხულად ავიჩიე ვიბეები.

— მაშ წამობრძანდით! — მეპატიეება ის. მართლა საკოჭავი ყოფილა — გავიფიქრე მე. და ბრძანებას დავემორჩილე.

— ასეთ „მახინაციებს“ აკეთებენ — ეუბნება კონდუქტორი მის ამხანაგს და ჩემს ბილეთზე აჩვენებს. რომელზედაც ქვემოდ აწერია „საბავშო“. ის კი დაცინვით შემომცქერის.

„კარგი ბავშვი შენ ხარ, შენმა შერცხვენამ“ — ფიქრობენ ალბად იმ მატარებლები.

მე ვიწვი და ვიხრაკები, მატარებელს ვაწმ. აქ საკოჭავია და მეც გაკოჭილი ვალოავარ.

— არა შე იხერო ჩემო თავო, მოხუციდი კაცი, კითხვა რემდენი ხანი ვისწავლია. თავი მწერლად მოვაქვს, მწერლოთა კავშირი აავსე ხელნაწერებით. წიგნებს ფუთობით კითხულობ და ბილეთზე ერთი სიტყვა რივა ვერ წაიკითხე? ანია შენზე ახლა ვაკოჭვა, ვინ ჩივა დაქერას. ვინ ტირის ფულებს დაკარგვას ამ სირცხვილს, რომ გაუძლებდე. ყველა გაკვირვებულო სახით შემომჩერებია, ქალიშვილები ერთმანეთს ანიშნებენ ჩემზე და მახელებენ: „ალუუ ნეკნელ არ მიკბინო“.

მივყვები კონდუქტორს და მასთან ერთად მეც გათვალეირებ გამოწვდილ ბილეთებს.

„საბავშო“ — შორიდან ამოვიკითხე წილი მოხუცის მიერ გამოწვდილ ბილეთზე.

ცოტა იმედი მომეცა.

კონდუქტორმა მეორე „ბავშვიც“ აღმოაჩინა ჩემს მაგვარი.

ცოტა კიდევ და ერთი თავმომწონე ყმაწვილიც გამოდგა ჩვენსავით „ბავშვი“. ის ახალგაზრდა ქალს „ფურობცქებოდა“ და ასეთი გაბავშვება, რომ აღმოუჩინეს სახეზე ფრმა გადაკრა.

— რას იზამ, ამხანაგო. ჩვენ მართალია ბავშვები არა ვართ, მაგრამ ბაკურიანის სადგურის მოლარეს ბავშვებთან ვეჩვენებით ხომ იცი, ახლა მეცნიერება გაახალგაზრდავების ცდებს აწყობს. იქნებ ისეთ მეცნიერთაგანს ვკუთვნის ბაკურიანის მოლარეც — ვანუგაშე მე.

## ქ. მახარაძის სასტუმროს სასადილოში.

ნახ. დონის



აუცილებელი ინსტრუმენტი მშვალში ხორკის აღმოსაჩინად.






იცაზინ

ფაშისტური მეორე ფეხის უქონლობის გამო.

— დამერწმუნეთ, თქვენო უდიდებულე-სობავ, რომ იაპონია ვერ მოითმენს აბისინია-  
საც ისე მოექცენ, როგორც ჩინეთს,



— მამილო როგორ ისვრიან ამ ზარბაზ-  
ნიდან?  
— შიგ დებენ ცოტა დენტს, თოფის წა-  
შალს, და ადამიანის ბევრ სისუღელეს.

ინგლისელი სპორტსმენები ბერ ლინში.



გებელსი:—ეს ცემა-ტყევა უბრალო სპორტია! ხხვა რამე არ გეგონოს!



12 საიტოჲან მიდის კავიბალისტური საფ-  
უარო






ნელი სვლა და სიფრთხილე არსად არ მიწერია,  
 თუნდ ქალაქი დაეღწო როგორც კართაგენები.  
 გიჟურ ქროლის ვარეშე ჩემთვის არაფერია,  
 სისწრაფეში ვერ მბაძავს მეეტლეთა ცხენები.  
 ქარში, მტვერში გავარდნილს, ფეხით დამედევნება:  
 მაშინ მილიციელი—და ჩოჩქოლი იქნება!  
 როცა გამვლელს გავსრესავ, როგორც მწიფე მტევნები,  
 სიხმარებით გაეჭრები და ძნელია მიგნება.  
 მე შრავალჯერ ეყოფილვარ ხრამში გადამართული,  
 მგზავრებით და მანქანით მსხვერპლი უდაბნოეთის.  
 გაქანება მეც მიყვარს და სხვა უკუღმართული,  
 ღვინის ყლაპვა კვარტებით მსგავსად ზოგი პოეტის.  
 ო, საჭესთან მერევა გადამთვრალი თვალები,  
 ტრიპლებენ მოედნები, სახლი, ქუჩა შვენიებით.  
 რას მიქვია გამვლელთან არე, ინტერვალები—  
 უნდა ვსრისო ყოყველგან ქალი, ბავშვი, ცხენები.  
 შეჯიბრი და დოღია მსხვრევა, მტვრევა ველურ,  
 ტრამეის ვავონები აეტოს უნდა მოეზას,—  
 რომ ქალაქში დამყარდეს ქროლვა ეფემერული,  
 მხოლოდ ამით დაფიპყრობ სივრცის უსაზღვროებას.  
 განუკითხავ ქროლვაში ილეწება პალმები...  
 თუ შემოიპყრეს ჯარიმას უსიტყვოდაც ავიტან.  
 მილიციელს ქვითარით, კრძალვით მივესალმები,

მაშ თუ გზები შემოკრეს—გავიქცევი საიდან?  
 ო, მუშტი და კრივისთვის მე ყოველთვის მეცალა,  
 ცხვირზე ახლაც მარნია ნაბევი და წელსულები.  
 ძველი ჩხუბის ნიშანი ვეღარ გადამეცალა,  
 სული ჩხუბში მიმიწევს მუდამ განწირულებით.  
 ბიჭი თუ ვარ ცხვირიდან სისხლს დავადენ პეშვებით.  
 რადგან თავში ტრიპლებს ღვინო სიტყვ სიტყვ მკათათვის,  
 საკატლეტედ დავნაყავ—ბნელში გადავმეშვები,  
 შორეული ხოში და მკლავის შვენებათათვის.  
 მე, ქალაქის დაესერე ყველა მერიდიანი,  
 არ დავეძებ გამვლელთა სიჭაბუკეს, სიბერეს.  
 ბევრჯერ იმათ ჩაუქვრე მზერა იმედინი,  
 ღვინით მოვრიე თვალებმა გზები გადამიფერეს.  
 დე, ქარიან ლტოლვაში ასე ვიყო გართული,  
 მზე იქნება, ვლეტრო, ან თუ შუქი მოვარსა,  
 ვიყავი და ვიქნები თავზე ხელამართული —  
 სასიკვდილო ჩვენება შიშით გულდამწვარისა.  
 მე ამიტომ მივიღე მოფერული ემბაზი,  
 ვისაც გინდათ მაგინეთ, ვისაც როგორ ენებოს!  
 აეტოს დაჯანებაზე! აეტოს შეჯიბრებაზე—  
 მოდით, უნდა გავსრისოთ ქალებო და ცხენებო

პოლიო აბრამია.











ტფილისის სავაჭროები ვერ კიდევ არარის საკმაოდ მომარაგებული ნახ. კანდელაკის კალოშებით.

სენაკის მამის გამგეობის გერსამიამ ვაჭრის შენგელის დრე შენგელის მისი სოციალური წარმოშობის დაფარვის მიზნით სახელი და მამის სახელი გადაუსწორა.

„ოჯინოსები“



— ვაჰ! ეს რა ამბავია! ნეტაი რა დაემართათ ამ ქალაქელებს!

ახალ სენაკს დაებადა ორი მამის ერთი შვილი. გუგულივით თვალებს ნაბავს და ვარდივით ძრის შოილი. მამებს ჰქვიათ: „სოფრომ“, „პეტრე“ შვილს „ალეკო“ ანუ „ალე“, თუ ამ ვაჭრებს გაიმეტებ შეგაღვლებს ორბის თვალებს. სოფრომ — ალეს მკვიდრი მამა შენგელია ვახლავათ გვარად, ვაჭარია ის ყოფილი და დღეს ცრემლი მოსდის ღვარად. მოინდომა ალემ პეტრე რომ დაარქვას თავის მამას, კომკავშირში შესვლის დროზე. ვინ გაუგებს მას ხრიკს ამას?! მწუხარებით თვალს არ ნაბავს. ვინ არ იცნობს „მამის“ გამგეს გერსამია დავით ვახლავათ ის არავის არას აცნებს. გულუბრყვილოც ვახდა ახლა. — ძმაო დავით ვფიცავ სოფროს დამამტკიცე პეტრეს შვილად და მე ისეთს გავშლი სუფრას ვერ რომ ქვეყნად არ გაშლილა. დათომ თხოვნა შეუსრულა რალა უჭირს ალეს აწი ღამე თეთრად გაათენეს გამოცალეს ათჯერ ყანშიც. პეტრეს ძეა ახლა ალე კომკავშირშიც შეჰყო ცხვირი, გთხოვ „ნიანგო“ დასცხო ასეთს შემეყაროს შენი ქირი.

ჩინძა!

გოგორი

**მერაბს** (აქვე) თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილით გვეკითხებით:

პლენანოვის გამზარზე, ძეხვ-ხორცეულის მაღაზიაში ვიყიდე ერთი კილო უკრაინული ძეხვი („კალბასი“), ძეხვში ვაჭრის დროს აღმოჩნდა მხოლოდ ნახევარი კილო ბაწარი... „კანონის“ მიხედვით, კილო ძეხვში კილო ბაწარი უნდა აღმოჩენილიყო. სად წაიღეს მეორე ნახევარი კილო ბაწარი?

პასუხი ადვილად მისაგვედრია. მეორე ნახევარი კილო ბაწრით ალბად თვალი აქვს ახვეული იმ „მუშაკს“, რომელმაც თქვენ მიერ აღნიშნული „პროდუქტი“ გამოუშვა.

**გალიცინს** (შორაპანი) წაეკითხეთ თქვენი ფსევდონიმი „გალიცინი“, მაგრამ არ ვიცინით. თუ თვითმპყრობელ შეფის თავადებს გვარი ისე გიტაცებთ, რომ ვეღარ იფიწყებთ, მაშინ გალიცინს დაშვოვი აჯობებდა, თუმცა ახლა ვეღარც ეს არჩევანი გიშველით, რადგან უკვე გოდორში განისვენებს გალიცინებმაც, დაშვოებმაც და... თქვენმა წერილმაც.

**კაკულის** (აქვე) დაგვიანებულია თქვენი საყვედური ტფილისის საბჭოს მიმართ იმის გამო, რომ უგანასკნელმა

ავტოები გამოუშვა ნაირ-ნაირ „ვიდის“, ვაკვირდებით, ვერ ვგებულობთ რომელი სად მიდის.

ახლა ეს ნაკლი (მარშრუტის დაუწერლობა) გამოსწორებულია.

**ბიზის** (გორი) მოგვყავს ნაწყვეტი თქვენი ლექსებიდან, რომელსაც „ნატკა“ ეწოდება:

ნეტავი ვიყო დოხტური, პრაქტიკა მქონდეს ნეტაო, ხადაც კი წავალ, ფულეებსა ჩალა-ბზესავით ვხვეტავო.

ფულეების ხვეტის რა მოგახსენოთ და ამისთანა ლექსების წერა ღუ გააგრძელებთ ჩალა-ბზის მარავის აღარ დაგვირდებათ: თავშიაც საკმაოდ მარავი აღმოგიჩნდებათ.

**დიოგენს** (ალბულაღი). ვაქვეყნებთ თქვენი ლექსის ნაწყვეტს კავშირტრანსის საყურადღებოდ.

თუ გინდა რომ, ნიანგო-ჯან ინახულო ალბულაღი ცხენი უნდა შეიძინო ან ფაშატი, ან ულაყი—

თორემ ისე, თუნდ ბილეთი ავტოტრანსის ხელში გქონდეს ავტოს წასვლას ვერ იღირებ თავის დროზე გერასოდეს.

**ლაუსს.** (კასპი) იწერებით: შემოვივარდა შუშანიო ჩემი გულის დღეშმანიო

მერე ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენი რედაქცია მამი ხომ არ არის რომ თქვენი და „შუშანის“ ურთიერთობის რეგისტრაცია აწარმოვს?





— შარშან ამდროს საშუალო სოფელში ვიყავი.  
 — კუ ლ ტ ლ ა შ კ რ ი ბ ა ზ ე ?  
 — ა რ ა ს ა ნ ა დ ი ბ რ ი თ